მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

„განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ ეროვნული სტრატეგიისა და 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2017 წ. 10 ნოემბერს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გავრცელებულ სამუშაო ვერსიაზე

21 ნოემბერი, 2017

1. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ დოკუმენტი შემუშავდა *„საქართველოში განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე და მასში ასახულია არსებული შეფასებები, ადგილზე განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები“.* მიუხედავად ამისა, სტრატეგია იმდენად ზოგადია, რომ ის თავისუფლად შეიძლება მოერგოს ნებისმიერ სახელმწიფოს; დოკუმენტში არ ჩანს საქართველოს პრობლემები, საჭიროებები და მათი გადაჭრის, დაკმაყოფილების გზები.

2. სტრატეგია სავსეა [ასეთი დოკუმენტისთვის] უსარგებლო თეორიული მსჯელობებითა და მტკიცებებით (მაგალითად: *„მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვისათვის სკოლამდელი აღზრდის სექტორი ყველაზე მყარი და საიმედო სეგმენტია, რადგან სწორედ სკოლამდელ ასაკში იწყებს ბავშვი გარემოს აღქმას, ქცევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას“*).

3. შესავალში თანაბარი ადგილი ეთმობა მდგრადი განვითარებისა და განათლების საკითხების ურთიერთინტეგრაციის ე.წ. ისტორიულ მიმოხილვას (წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე) და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პროცესს - 2015 წელს, მდგრადი განვითარების სამმიტზე მიღებულ „მგრადი განვითარების მიზნებს“ და საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს (ეროვნულ მიზნებსა და ინდიკატორებს). ჩვენი აზრით, სწორედ მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნები და ინდიკატორები უნდა იქნეს გამოყენებული ე.წ. საორიენტაციო ნიშნულებად (benchmark) და მთელი სტრატეგია სწორედ ეროვნული მიზნების რეალიზებაში წვლილის შეტანაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

4. მე-7 თავში აღნიშნულია, რომ “სტრატეგიითა და მისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქმედებები მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ და არაოფიციალურ განათლებას“. შემდგომ, ტექსტში, არსადაა განმარტებული რა იგულისხმება ტერმინებში: „ფორმალური“, „არაფორმალური“ და „არაოფიციალური“ განათლება; დოკუმენტში არც ქმედებებია დაჯგუფებული განათლების ამ სახეების მიხედვით.

5. მე-8, მე-9 და მე-10 თავები აბსოლუტურად გაუგებარია. გაუგებარია, რა პრინციპებსა და მიმართულებებზეა საუბარი? რა მიზნითაა ისინი მოყვანილი? როგორ და ვინ დაადგინა „სახელმძღვანელო მიმართულებები“. ამ თავების

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39 ბ, IV სართ.
ტელ./ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ფონზე, კიდევ უფრო გაუგებარი ხდება ასევე მე-11 თავის დასაწყისში ჩამოთვლილი, განსაზღვრების გარეშე მოცემული პუნქტები (11.1 – 11.7).

6. მე-12 თავი უკიდურესად ზოგადია; არ ჩანს დასაბუთება, რომელიც საფუძვლად დაედო თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებას და ცალკეულ მიმართულებებში დადგენილ ღონისძიებებს.

7. მე-14 და მე-15 თავები კრიტიკას ვერ უძლებს. „*თითოეული დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობა*“ მართლაც აუცილებელია; მაგრამ არამარტო სტრატეგიის განხორციელებისთვის (იხ. მე-14 თავი), არამედ სწორი, შეთანხმებული მიზნების, ხედვის, მისიისა და ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისთვის. როგორც ჩანს, სტრატეგიის შემუშავების საწყის ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან ინდივიდუალური თუ ჯგუფური კონსულტაციები არ ჩატარებულა (წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ასახული იქნებოდა მე-14 თავში).

8. აქვე დავამატებთ, რომ როგორც ჩანს, არ ჩატარებულა, ასევე, დაინტერესებული მხარეების ანალიზი. ამაზე მეტყველებს სტრატეგიის ეს ჩანაწერიც: „*სტრატეგიის მიხედვით დაინტერესებულ პირებად ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები, აკადემიური დაწესებულებები, მედია და ბიზნესორგანიზაციები სახელდებიან*“.

9. დასასრულს: მთელი დოკუმენტი ტოვებს არა „ეროვნული“ - საყოველთაო - სტრატეგიის, არამედ, ერთ-ერთი სამინისტროს ერთ-ერთი სსიპ-ის (გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის) სტრატეგიის შთაბეჭდილებას.